

## ტესტის სახელწოდება

ფოლიუმი

## ტესტის ალტერნატიული დასახელება

ფოლიუმის მჟავა

### რას იკვლევს მოცემული ტესტი?

ფოლიუმს B9 ვიტამინის სახელითაც იცნობენ. იგი ადამიანის ჯანმრთელობისთვის აუცილებელი ნივთიერებაა - ფოლიუმი მნიშვნელოვან როლს ასრულებს დნმ-ის სინთეზსა და რეპარაციაში.

მისი წარმოქმნა ორგანიზმში არ ხდება, ამიტომ ადამიანმა იგი საკვების სახით უნდა მიიღოს. ფოლიუმს შეიცავს ციტრუსები, მწვანე ფოთლოვანი ბოსტნეული (მაგ. ისპანახი, კომბოსტო), ხმელი ლობიო, ღვიძლი, თხილი, ნუში და მრავალი სხვა საკვები პროდუქტი. ზოგიერთ ქვეყანაში მიმართავენ პურის ფქვილის ფოლიუმით ფორტიფიკაციას (ფქვილის ფოლიუმის დანამატით გამდიდრება), რაც ამცირებს ფოლიუმის არასაკმარისი მიღებით გამოწვეული დეფიციტის რისკს. სახელით “ფოლიუმის მჟავა” სწორედ ხელოვნურად დამატებულ ფოლიუმს მოიხსენიებენ. მოზრდილებს ფოლიუმის დაახლოებით 3 თვის მარაგი აქვთ სხეულში.

ფოლიუმის დონის განსაზღვრა შესაძლებელია როგორც სისხლის შრატში, ასევე ერთროციტებში.

ფოლიუმის დეფიციტის სკრინინგისთვის მის დონეს შრატში განსაზღვრავენ, ერთროციტების ფოლიუმის ტესტირება რუტინულად არ კეთდება.

ორსულებს ჩვეულებრივზე მეტი რაოდენობით სჭირდებათ ფოლიუმი. იგი აუცილებელია ნაყოფის ნორმალური განვითარებისთვის - ორსულობის ადრეულ ეტაპზე მისი დეფიციტი ნაყოფის ნერვული მილის დეფექტების რისკს ზრდის (მაგ. სპინა ბიფიდა, რომელსაც ახასიათებს ხერხემლის არხის არასრულად დახურვა).

მოზრდილებში ფოლიუმის დეფიციტი სხვადასხვანაირად შეიძლება გამოვლინდეს – შეიძლება თავი იჩინოს დაღლილობამ, თავის ტკივილებმა, დემენციამ.

ფოლიუმის დეფიციტის მთავარი მანიფესტაცია მეგალობლასტური ანემიაა. B12 ვიტამინის ნაკლებობისგან განსხვავებით, ამ დროს განვითარებულ ანემიას ნევროლოგიური დარღვევები არ ახლავს.

### რისი დიაგნოსტიკისთვის ინიშნება?

ფოლიუმის ანალიზი ძირითადად, მეგალობლასტური ანემიისას ინიშნება.

იგი ასევე შეიძლება დაინიშნოს მაშინ, როდესაც:

- პაციენტს ფოლიუმის დეფიციტის ნიშნები აქვს
- ფოლიუმის დეფიციტი დადგენილია და საჭიროა პაციენტის მდგომარეობის მონიტორინგი
- საჭიროა მკურნალობის ეფექტურობის შეფასება ფოლიუმის დეფიციტის მკურნალობისას

- პაციენტს აღენიშნება მალაბსრობცია - ნაწლავებში საკვები ნივთიერებების შეწოვის დარღვევა, რაც თავის მხრივ, სხვადასხვა დაავადებით შეიძლება იყოს გამოწვეული (მაგ. ცელიაკით). მალაბსრობცისას შესაძლებელია განვითარდეს ფოლიუმის დეფიციტი.

ფოლიუმის ანალიზი ხშირად B12 ვიტამინის ანალიზთან ერთად ინიშნება.

ფოლიუმის დეფიციტის მიზეზი შეიძლება იყოს:

- მისი არასაკმარისი მიღება;
- აბსორბციის დარღვევა
- მომატებული საჭიროება – მაგ. ორსულობისას და ლაქტაციისას ორგანიზმს ჩვეულებრივზე მეტი რაოდენობით სჭირდება ფოლიუმი. ფოლიუმზე გაზრდილი მოთხოვნილება აქვთ ასევე ჰემოლიზური ანემიის მქონე პაციენტებსა და ჩვილებს.

ფოლიუმის დეფიციტის მომატებული რისკი აქვთ ხანშიშესულებსაც.

### **როგორ კეთდება ეს ტესტი?**

საჭიროა ვენიდან სისხლის აღება.

### **როგორ მოვემზადოთ ტესტისთვის?**

ანალიზამდე 8 საათის განმავლობაში პაციენტმა საკვები არ უნდა მიიღოს. ზოგიერთმა მედიკამენტმა შეიძლება შედეგებზე გავლენა იქონიოს, ამიტომ ექიმთან კონსულტაცია და ანალიზისთვის მოსამზადებლად კონკრეტული ინსტრუქციების მიღება აუცილებელია.

### **შედეგების ინტერპრეტაცია**

ანალიზის შედეგების ინტერპრეტაცია უნდა მოხდეს ექიმის მიერ.

ზოგადად, ფოლიუმის ნორმალური დონე ნიშნავს, რომ პაციენტს მისი დეფიციტი არ აქვს ან ორგანიზმში არსებული ფოლიუმის მარაგი ჯერ არ ამოწურულა. ფოლიუმის ნორმალურზე დაბალი დონე მის დეფიციტზე მიუთითებს.

ეს ანალიზი ექიმს ფოლიუმის დეფიციტის გამოვლენაში ეხმარება, თუმცა მისი ნაკლებობის მიზეზს ამ ტესტით ვერ დავადგენთ.

ფოლიუმის დაბალი დონის მიზეზი შეიძლება იყოს:

- მალაბსრობცია;
- ალკოჰოლიზმი
- ზოგიერთი მედიკამენტი, მაგ. მეტოტრექსატი, ომეპრაზოლი, ფენიტოინი და სხვ.
- ფოლიუმის არასაკმარისი რაოდენობით მიღება
- კიბო